ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 1

(საქონლის მიწოდებაზე)

ქ. თბილისი 18.01.2012 წ.

შ.პ.ს. ,,თეგეტა მოტორსი'' – გენერალური დირექტორის გიორგი მშვილდაძის სახით, შემდგომში წოდებული ,,შემსრულებლად'' და კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება მისი დირექტორის, შოთა გოგიაშვილის სახით, შემდგომში წოდებული ,,დამკვეთად'' შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ,,შემსრულებელი'' იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობებით მიაწოდოს ,,დამკვეთს'' 4 ცალი საბურავი Bridgestone 235/60R16 D694 (ერთეულის ფასი: 365,00 ლარი).

1.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1460,00 (ერთი ათას ოთხასსამოცი) ლარს

2.2. მიწოდებული საქონლის საერთო ღირებულება შეიცავს ,,შემსრულებლის'' ყველა ხარჯებს, მათ შორის საქონლის ღირებულებას, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, სახდელს, მოსაკრებელს, ბაჟს, მათ შორის დღგ–ს.

საბურავის ფასი მოიცავს მისი მონტაჟისა და ბალანსირების ღირებულებას.

3. ანგარიშსწორება

3.1. ,,დამკვეთი'' იღებს ვალდებულებას გადაუხადოს (ნაღდი ანგარიშსწორებით) ,,შემსრულებელს'' მიწოდებული საქონლის ღირებულება, ყოველი გამოწერილი დ.ღ.გ.–ს ანგარიშფაქტურის საფუძველზე, ყოველი 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1. ,,დამკვეთი'' იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ,,შემსრულებელს'' მიწოდებული საქონლის საფასური, ,,დამკვეთის'' მოთხოვნით შედგენილი, შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და/ან ყოველი კონკრეტული გამოწერილი დ.ღ.გ.ს ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე, ხელშეკრულების 3.1. პუნქტში მითითებულ ვადებში.

5. საქონლის მიღება – ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება დასტურდება დ.ღ.გ.–ს ანგარიშ–ფაქტურით. ასევე, ,,დამკვეთის'' მოთხოვნის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას ,,შემსრულებლისაგან'' ,,დამკვეთზე'' და ,,დამკვეთის'' მიერ მის მიღებას. მიღება–ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს, ,,დამკვეთის'' მოთხოვნის საფუძველზე, მიწოდების ფაქტიურად განხორციელებისთანავე.

6. ხარისხი

6.1 .საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

7. უფლებების გადაცემა

7.1. ,,შემსრულებელს'' არა აქვს უფლება, ,,დამკვეთის'' წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3.თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოწვეული ზიანი

9. ფორს – მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს 10 კალენდარული დღის ვადაში, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2. თუ, ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერისა და მოქმედებს 2012 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

11.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. 12.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელსაც გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

,,შემსრულებელი''	„დამკვეთი"
შ.პ.ს. ,,თეგეტა მოტორსი''	კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება
ს/კ 202177205	ქ. კასპი, სააკაძის 68
ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ #5	სს „ლიბერთი ბანკი"
სს. ,,თიბისი ბანკი'' ცენტრ. ფილიალი	ს/კ 2325559790
კოდი;220101830. ანგ. № GE80TB0600000024467853	კოდი: LBRTGE22 ანგ. № GE50LBO115173357410000
გენერალური დირექტორი:	დირექტორი:
გიორგი მშვილდაძე	შოთა გოგიაშვილი